2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი #3

ქ. თბილისი 19 დეკემბერი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ქარსელაძე	–	საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
დიმიტრი ქუმსიშვილი	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი ჯავახიშვილი	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
დავით ხუციშვილი	–	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი კოტრიკაძე	–	ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი

სხდომის მდივანი:
დავით კაშია – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

დღის წესრიგი:

2014 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერებში (CON140000001, CON140000002, CON140000003) მონაწილე მიმწოდებლების სატენდერო წინადადებების განხილვა და გამარჯვებული მიმწოდებლების გამოვლენა.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ი. ქარსელაძემ სატენდერო კომისიას გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

ა) დიზელის (PPM 50–ზე ნაკლები, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000001) სატენდერო წინადადებები წარდგენილი აქვთ სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"–ს, შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"–ს, შპს ,,ლუკოილ ჯორჯია"–ს და შპს ,,რომპეტროლ საქართველო"–ს.

ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“–ს მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი დიზელის (PPM 50–ზე ნაკლები, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 1 ლიტრზე შეადგენს **1.89 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდაცხრა თეთრი), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“–ს მიერ – **1.88 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი), შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს მიერ – **1.85 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი), ხოლო შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს მიერ – **1.84 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი).

სატენდერო კომისიამ განიხილა **შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს** წარდგენილი სატენდერო წინადადება, ასევე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ ისინი შესაბამისობაშია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, **შპს „რომპეტროლ საქართველო“** უნდა გამოვლინდეს გამარჯვებულ მიმწოდებლად დიზელის (PPM 50–ზე ნაკლები, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000001).

ბ) ბენზინი პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000002) სატენდერო წინადადებები წარდგენილი აქვთ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“–ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“–ს, შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს და შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს.

ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“–ს მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი ბენზინი პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 1 ლიტრზე შეადგენს **1.83 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“–ს მიერ – **1.80 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი), შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს მიერ – **1.79 ლარს** (ერთი ლარი და სამოცდაცხრამეტი თეთრი), ხოლო შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს მიერ – **1.77 ლარს** (ერთი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი).

სატენდერო კომისიამ განიხილა **შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს** მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება, ასევე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ ისინი შესაბამისობაშია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, **შპს „ლუკოილ ჯორჯია"** უნდა გამოვლინდეს გამარჯვებულ მიმწოდებლად ბენზინი პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000002).

გ) ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000003) სატენდერო წინადადებები წარდგენილი აქვთ შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს, შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“–ს.

ელექტრონული ვაჭრობის შედეგად შპს „რომპეტროლ საქართველო“–ს მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 1 ლიტრზე შეადგენს **1.90 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი), შპს „ლუკოილ ჯორჯია"–ს მიერ – **1.90 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“–ს მიერ – **1.90 ლარს** (ერთი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი).

ნავთობპროდუქციის (საწვავის) - ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.10.2 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად ,,კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ თანაბარი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი", სატენდერო კომისიამ განიხილა **სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება და მიიჩნია, რომ იგი შესაბამისობაშია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"** წარმოადგენს თეთრ სიაში დარეგისტრირებულ კომპანიას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 26[2] მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების თანახმად, იგი გათავისუფლებულია კონსოლიდირებულ ტენდერში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, **სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"** უნდა გამოვლინდეს გამარჯვებულ მიმწოდებლად ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000003).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. 2014 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერებში (CON140000001, CON140000002, CON140000003) დამტკიცდეს შემდეგი შედეგები და ეთხოვოს გამარჯვებულ მიმწოდებლებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის 2.11 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის ატვირთვა არაუგვიანეს 2013 წლის 23 დეკემბრისა:

ა) **დიზელის** (PPM 50-ზე ნაკლები, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000001) გამარჯვებულ მიმწოდებლად გამოვლინდეს **შპს ,,რომპეტროლ საქართველო"**;

ბ) **ბენზინი პრემიუმის** (ოქტანობა არანაკლებ 95, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000002) გამარჯვებულ მიმწოდებლად გამოვლინდეს **შპს ,,ლუკოილ ჯორჯია"**;

გ) **ბენზინი სუპერის** (ოქტანობა არანაკლებ 98, არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000003) გამარჯვებულ მიმწოდებლად გამოვლინდეს **სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"** .

2. 2014 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერებში (CON140000001, CON140000002, CON140000003) გამარჯვებული მიმწოდებლების მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის 2.11 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის ატვირთვის მომენტიდან შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ 2014 წლის საჭიროებისათვის წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული საწვავის შესასყიდად ხელშეკრულებების დადება.

3. დაევალოს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი ქარსელაძე

სატენდერო კომისიის წევრები: დიმიტრი ქუმსიშვილი

გიორგი ჯავახიშვილი

დავით ხუციშვილი

გიორგი კოტრიკაძე

სხდომის მდივანი: დავით კაშია